სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 ივნისი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/99

2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ERASMUS+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, დუბლინის მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2026 წლის 02 ივნისის № 659568 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026–2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, „ERASMUS+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, დუბლინის მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების (ბსუ-ს მათემატიკის, ფიზიკა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის 3 წარმომადგენლის და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 5 **სტუდენტის)** გამოსავლენად განისაზღვროს **კონკურსის** შემდეგი **ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება:
ა) პერსონალის მიერ **2026 წლის 03 ივნისიდან - 08 ივნისის 12:00 საათამდე** - ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow), საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;
ბ) სტუდენტების მიერ **2026 წლის 03 ივნისიდან - 09 ივნისის 15:00 საათამდე** - ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება:
ა) პერსონალისთვის - 2026 წლის **08 ივნისს 14:00 საათიდან;**
ბ) სტუდენტებისათვის - **2026 წლის 10 ივნისს 11:00 საათიდან.**
1.3. ტესტირება/გამოცდა სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაში (B2 დონე) - **2026 წლის 11 ივლისი, 11:00 საათი,** ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, ბსუ-ს №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.№12 **(შენიშვნა:** ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);
1.4. **გასაუბრება კომისიასთან :**
ა) პერსონალისთვის - 2026 წლის **09 ივნისს,** 11:00 საათზე;

ბ) სტუდენტებისათვის - 2026 წლის 12 ივნისს 11:00 საათზე.

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისათვის - 2026 წლის **12 ივნისი.**

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო **კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) ლელა თურმანიძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ვ) თამარ დუნდუა - ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - კომისიის მდივანი.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამსახურს, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე